

შპს “ავიაკოპტერი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

(შედგენილია IFRS for SMEs-ის მიხედვით)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. კორპორატიული ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	10
4. ამონაგები რეალიზაციიდან.....	11
6. ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	12
7. საწვავის ხარჯი.....	12
8. ვერტფრენების ცვეთა.....	13
9. ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი.....	13
10. წმინდა მოგება-ზარალი კურსთშორის სხვაობიდან.....	14
11. საპროცენტო ხარჯი.....	14
12. მოგების გადასახადი.....	15
13. ძირითადი საშუალებები.....	16
14. არამატერიალური აქტივები.....	16
15. მარაგები.....	17
16. ფული და ფულის ექვივალენტი.....	17
17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
18. წინასწარ გადახდილი თანხები.....	18
19. საწესდებო კაპიტალი.....	18
20. მოკლევადიანი სესხი.....	18
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულება.....	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მომზადებულია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების “ავიაკოპტერი”-ს ხელმძღვანელობისათვის

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ავიაკოპტერი”-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ავიაკოპტერის“ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ 2024 წლის 31 დეკემბერს ინვენტარიზაციის პროცესს, ვერც ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავადასტურეთ მარაგების ნაშთი. მარაგის ღირებულება 31.12.2024 წელს არის 207665 ლარი, რომელიც არის არსებითი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის, თუმცა არაყოვლისმომცველი, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება არის პირობითი მხოლოდ მარაგების კომპონენტის მიმართ

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის

მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ავიაკოპტერი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან ჯვარშიშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N SARAS-F-632766)

შპს „ლევინგ“

საქართველო, ქ. თბილისი, ვ. წითლანაძის 17

2025 წლის 27 ივნისი

გარიგების პარტნიორი : ლევან ჯვარშიშვილი



(საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2012 წლის 21 მაისს გაცემული აუდიტორის სერთიფიკატი №N6/184, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორის სარეგისტრაციო N SARAS-A-328621 აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო N SARAS-F-632766

„შპს ავიაკოპტერი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

„შპს ავიაკომპტერი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	1	1,143,804	832,511
		1,143,804	832,511
პირდაპირი ხარჯი			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2	(325,346)	(310,984)
საწვავი	3	(99,848)	(78,609)
ვერტფრენების ცვეთა	4	(255,523)	(255,522)
საერთო მოგება		463,088	187,396
ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი	5	(135,826)	(91,647)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(26,985)	(16,701)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(378,159)	(383,023)
საოპერაციო მოგება		(77,883)	(303,975)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	7	9,679	5,777
საპროცენტო ხარჯი	8	(71,105)	(93,889)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან			3,252
მოგება/(ზარალი) არასაოპერაციო საქმიანობიდან		(139,309)	(84,860)
მოგების გადასახადის ხარჯი	9		
მოგება/(ზარალი)		(139,309)	(388,835)

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2025 წლის 26 ივნისი:

შპს ავიაკომპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

ხელმოწერა

შპს „ავიაკოპტერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

	2024	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1,778,303	2,020,453	2,273,999
არამატერიალური აქტივები	385	700	700
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,778,688	2,021,153	2,274,699
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	207,665	179,983	9,677
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,211	27,060	65,950
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
წინასწარ გადახდილი თანხა	171,154	145,202	156,013
სულ მოკლევადიანი აქტივები	380,030	352,245	231,640
სულ აქტივები	2,158,718	2,373,398	2,506,339
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2,184,741	2,184,741	1,762,181
გაუნაწილებელი მოგება	(1,875,311)	(1,741,513)	(1,352,550)
სულ კაპიტალი	309,430	443,228	409,631
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	1,458,424	1,720,391	1,919,253
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,458,424	1,720,391	1,919,253
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულება	40,608	40,607	22,644
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	174,805	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	175,450	169,172	154,811
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	390,864	209,779	177,455
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	2,158,718	2,373,397	2,506,339

შპს ავიკოპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

2025 წლის 26 ივნისი

ხელმოწერა

შპს „ავიაკომპტერი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2023	1762181	-1352550		409631
წინა პერიოდის შესწორება (არაარსებითი)		-128		
მთლიანი სრული შემოსავალი		-388835		-388835
საწესდებო კაპიტალის ზრდა	422560			422560
31 დეკემბერი 2023	2184741	-1741513		443228
წინა პერიოდის შესწორება (არაარსებითი)		5511		5511
მთლიანი სრული შემოსავალი		-139309		-139309
საწესდებო კაპიტალის ზრდა				0
31 დეკემბერი 2024	2184741	-1875311		309430

შპს ავიკომპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

2025 წლის 26 ივნისი

ხელმოწერა



შპს „ავიაკომპტერი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

2024

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მთლიანი სრული შემოსავალი	(139,309)
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია	282,508
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	71,105
საკუროსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	-
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	214,304
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-
მარაგები	(27,682)
წინასწარ გადახდილი თანხა	(25,953)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,278
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	166,948
გადახდილი მოგების გადასახადი	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	166,948
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
მოკლევადიანი ინვესტიციები	-
ძირითადი საშუალებები	(40,043)
არამატერიალური აქტივები	-
გრძელვადიანი ინვესტიციები	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(40,043)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	
საწესდებო კაპიტალი	-
სესხების მიღება	109,717
სესხების გადახდა	(201,045)
გადახდილი პროცენტი	(71,105)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	(162,433)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(35528)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	27,060
საკუროსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	9,679
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,211

შპს ავიაკომპტერის დირექტორი

ანა ტივაძე

2025 წლის 26 ივნისი

შპს „ავიაკოპტერი“

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შპს „ავიაკოპტერი“ სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2018 წლის 25 ივლისს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 406252576 .

საზოგადოების დამფუძნებელია:

მესაკუთრე:

ვლადიმერ ხოსიაშვილი, პ/ნ 13001011245, 40%

ნინო კაპანაძე, პ/ნ 01010004713- 60%

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, აერაპორტის დასახლება, კორპ N130, ბ. N11

საზოგადოების დირექტორია:

ანა ტივაძე (პ/ნ 05001011139), ერთპიროვნული მმართველი

ორგანიზაციის საქმიანობის სახე:

საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო გადაყვანა გადაზიდვა, საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო საშუალებების შეძენა და ექსპლუატაცია, საავიაციო და სპეციალური საავიაციო სამუშაოების შესრულება და მგზავრებისა და ტვირთების საჰაერო გადაყვანა გადაზიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შპს „ავიაკოპტერის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მსს ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის“.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

2.3 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირებად ვალუტას;

2.4 ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

საწარმო რეტროსპექტულად ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ამას აკეთებს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარიკაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთაგანყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციისათვის წარმოდგენილია ისე, თითქოს შესწორება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა ამის აუცილებლობა. შესაბამისად, შესწორების ოდენობა, რომელიც ეხება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს საწარმოს მიერ საანგარიშგებო პერიოდში მიღებულ შემოსავალს ჩვეულებრივი ოპერაციული საქმიანობიდან. იგი აღიარებულია IFRS for SMEs-ის განყოფილება 23-ის შესაბამისად, რომელიც ითხოვს შემოსავლის აღიარებას მაშინ, როდესაც შესრულებულია ძირითადი ვალდებულება და შესაძლებელია თანხის საიმედოდ შეფასება.

საწარმო ახორციელებს ჩარტერული საჰაერო გადაყვანის მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ამონაგები სრულად მიღებულია ჩარტერული ფრენების შესრულების შედეგად. შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებულია ფრენა და მომსახურება მიეწოდა დამკვეთს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ამონაგების აღიარების პროცესი რეგულირდება შემდეგი პრინციპებით:

- ფრენის დასრულება წარმოადგენს მომსახურების მიწოდების დასრულების მომენტს, რომელიც ქმნის შემოსავლის აღიარების საფუძველს;
- ფრენამდე მიღებული თანხები (განსაკუთრებით ახალ კლიენტებთან) აღირიცხება, როგორც გადავადებული შემოსავალი და არ აისახება ამონაგებში მანამ, სანამ მომსახურება ფაქტობრივად არ შესრულდება;
- ლოიალურ კლიენტებთან, როგორც წესი, ანგარიშსწორება ხდება ფრენის დასრულებისთანავე და შემოსავალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
- საანგარიშგებო პერიოდში ამონაგები არ მოიცავდა სხვა სახის შემოსავალს, როგორიცაა ფინანსური შემოსავალი ან არარეგულარული ერთჯერადი სარგებელი.

შესაბამისად, 2024 წლის ამონაგები სრულად წარმოიშვა ჩარტერული საჰაერო მომსახურების გაწევიდან.

3.2 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

საწარმო თანამშრომელთა ანაზღაურებას და სხვა მოკლევადიან სარგებელს აღიარებს იმ პერიოდში, როდესაც თანამშრომლებმა ფაქტობრივად შეასრულეს სამუშაო.

იმ თანამშრომელთა ანაზღაურება, რომელთა სამუშაო უშუალოდ უკავშირდება ჩარტერული ფრენების შესრულებას — მათ შორის: პილოტების, ბორტმექანიკოსების, საწვავის ჩამომსხმელების, ტექნიკური გუნდის იმ წევრების, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან საჰაერო ხომალდის მომზადებაში, აღიარებულია როგორც პირდაპირი ხარჯი, ვინაიდან ისინი უშუალოდ მონაწილეობენ საწარმოს ძირითადი მომსახურების შექმნაში და მათი სამუშაო აუცილებელია შემოსავლის გენერირებისთვის.

აღნიშნული ანაზღაურება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულებულია სამუშაო და დარიცხულია შესაბამისი თანხა.

დანარჩენი თანამშრომელთა ანაზღაურება, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდება უშუალოდ ფრენას (მაგალითად, ადმინისტრაციული პერსონალი, ოფისის თანამშრომლები, ფინანსური განყოფილება), აღიარებულია როგორც საოპერაციო ხარჯი, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ კომპანიის ზოგად ფუნქციონირებას, თუმცა არა უშუალოდ შემოსავლის გამომუშავებას.

2024 წლის განმავლობაში არ არსებობს გადავადებული ან არასწორად კლასიფიცირებული ანაზღაურება. ანაზღაურება სრულად იქნა აღიარებული იმ პერიოდში, როცა შესრულდა სამუშაო და დარიცხა თანხა.

3.3 საწვავის ხარჯი

იმ საწვავის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება ჩარტერული ფრენების შესრულებისთვის, აღიარებულია როგორც პირდაპირი ხარჯები, რადგან ისინი პირდაპირ უკავშირდება შემოსავლის გენერირებას.

აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც შესრულებულია ფრენა და შემოსავალი ჩაითვალია დასაბუთებულად. ეს ხარჯი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში იმავე პერიოდში, როცა მოხმარდა შესაბამისი საწვავი.

საწვავის დანახარჯი, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ფრენის შესრულებასთან —

აღიარებულია როგორც საოპერაციო ხარჯი, რადგან იგი არ უკავშირდება უშუალოდ შემოსავლის მიღებას, მაგრამ საჭიროა კომპანიის ზოგადი ოპერაციული ფუნქციონირებისთვის

3.4 ვერტფრენის ცვეთა

ვერტფრენებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის საწყის ღირებულებასა და სალიკვიდაციო ღირებულებას შორის სხვაობის თანაბრად გადანაწილებას მთელი სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ვერტფრენები წარმოადგენს კომპანიის ძირითადი ოპერაციული აქტივს, რომელიც უშუალოდ გამოიყენება ჩარტერული ფრენების განსახორციელებლად. შესაბამისად, მისი ცვეთა წარმოდგენს პირდაპირ ხარჯს, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება შემოსავლის გენერირებას. 2024 წლისთვის კომპანიის თითოეული ვერტფრენის სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს 120,000 ლარს, ხოლო სასარგებლო გამოყენების ვადად დადგენილია 10 წელი. შესაბამისად, ცვეთის წლიური დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: (საწყისი ღირებულება – სალიკვიდაციო ღირებულება) / 10 წელი ცვეთის ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში ყოველწლიურად, პერიოდულობის პრინციპის შესაბამისად

3.5 ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი

საფუძველი: IFRS for SME განყოფილება 17, პუნქტები 17.9 და 17.10) ტექნიკური ინსპექტირებისა და ვერტფრენის რემონტის ხარჯებს აღიარდება საოპერაციო ხარჯებად, ვინაიდან ისინი არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების სტანდარტულ კრიტერიუმებს. IFRS for Smes-ის მიხედვით: §17.9: შემდგომი ხარჯი ემატება აქტივს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუმჯობესებს აქტივის პროდუქტიულობას, ახანგრძლივებს მის სასარგებლო ვადას, ან ამცირებს სამომავლო საოპერაციო ხარჯებს. §17.10: სტანდარტული და რეგულარული მომსახურება, ტექნიკური შემოწმება და მცირე რემონტი არ კაპიტალიზდება, არამედ აღიარება ხდება ხარჯად მისი გაწევის პერიოდში. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა ინსპექტირებები, ზეთისა და ფილტრების შეცვლა, მცირე ტექნიკური სარემონტო სამუშაოები, რომელთაც არ გამოუწვევია:

აქტივის ეკონომიკური სარგებლის ზრდა; აქტივის მოდერნიზაცია, ; ან მისი სასარგებლო ცხოვრების გახანგრძლივება. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯები არ წარმოადგენს კაპიტალიზირებადი ხარჯების კატეგორიას და იქნა აღიარებული როგორც საოპერაციო ხარჯი, კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, როდესაც ეს მომსახურებები ფაქტობრივად განხორციელდა.

3.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის ყოველდღიური ოპერაციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად და არ უკავშირდება უშუალოდ შემოსავლის გენერირებას. ასეთ ხარჯებში შედის:

- საწვავისა და ავტომობილის შეკეთების ხარჯები;
- ცვეთის ხარჯები;
- კომუნალური ხარჯი;
- აუდიტორული მომსახურება

- მივლინების ხარჯი
 - ქონების და სხვა გადასახადი
 - ტრენინგის ხარჯი
 - სხვა ადმინისტრაციული ხარჯები, როგორცაა საოფისე ხარჯები და მომსახურების გადასახადები.
- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის პრინციპით იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

3.7 წმინდა მოგება/(ზარალი)უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ოპერაციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრისთვის: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი). კურსის ცვლილებით გამოწვეული სხვაობები ასახულია კ მოგება-ზარალის

ანგარიშგებაში.

ფულადი ელემენტების გადაფასება

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი შემდეგი ფულადი ელემენტები გადაფასდა წლის ბოლოს:

- ფულადი ნაშთები (ბანკში და სალდოში),
- უცხოურ ვალუტაში არსებული დებიტორული დავალიანება (მაგ. უცხოელ კლიენტებზე),
- კრედიტორული ვალდებულებები უცხოურ მიმწოდებლებზე,
- სესხები ან სხვა ფულად სახსრებთან დაკავშირებული ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში,
- ნებისმიერი სხვა ფულადი მუხლი, რომელიც უნდა შეფასდეს საბაზრო კურსზე.

აღნიშნული ელემენტები წლის ბოლოს გადათვლილია ეროვნული ვალუტით (ლარით), ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით. გადაფასების შედეგად წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები იქნა ასახული კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშში, როგორც:

- კურსით დადებითი სხვაობა (მოგება), ან
- კურსით უარყოფითი სხვაობა (ზარალი).

3.8 საპროცენტო ხარჯი

სესხით სარგებლობისას წარმოშობილი დანახარჯები, როგორცაა პროცენტი, საკომისიოები და სესხთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ისინი ფაქტობრივად გაწეულია. ორგანიზაცია არ ახორციელებს ისეთ კაპიტალიზებულ პროექტებს, რომლებიც გაამართლებს სესხით სარგებლობის ხარჯის აქტივში ასახვას, შესაბამისად, ყველა მსგავსი ხარჯი პირდაპირ აისახება მოგება-ზარალში, როგორც დარიცხვის პრინციპით აღრიცხული ხარჯი. ხარჯები კლასიფიცირდება შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც „ფინანსური ხარჯები“ და ასახულია იმ პერიოდში, რომელთანაც დაკავშირებულია ვალდებულება და რეალურად გაწეული დანახარჯი

3.9 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი, მანამ სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. მოგების გადასახადი 15% გადასახდელია მთლიან ღირებულებაზე (ე.ი. წმინდა დივიდენდებს ემატება წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის 5%-ი, თუ შესაძლებელია, და იყოფა 0.85-ზე) დივიდენდის გადახდის მომენტისთვის ფიზიკური თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის. 2017 წლის 1 იანვრიდან გადახდილი დივიდენდი რეზიდენტი იურიდიულ პირებზე არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

დივიდენდები მოგებაზე რომელიც მიღებული იყო 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო კრედიტით, რომელიც გამოითვლება როგორც დეკლარირებული და გადახდილი გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე vs იმავე პერიოდის მთლიანი წმინდა მოგების, რომელიც

გამრავლებულია განაწილებულ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებაზე დაწესებულ ფაქტობრივ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯად იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ფაქტობრივი გადახდის თარიღი ან ის პერიოდი, რომელზეც ხდება დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანია წყვეტს ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარებას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და შესაბამისი ეფექტი აღრიცხა 2016 წლის მოგება ან ზარალში. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმოდგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება

სხვა გადასახადები: ორგანიზაცია ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორებას ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

3.10 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შემენასთან. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტოდ მოგება ან ზარალის სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების დანახარჯები კაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

ძირითადი საშუალების დასახელება	ცვეთის მეთოდი	სასარგებლო მომსახურების ვადა/წელი	ნარჩენი ღირებულება ლარი
ვერტფრენის სათადარიგო ნაწილი	წრფივი	10 წელი	5000
ოფისის აღჭურვილობა	წრფივი	2-6 წელი	200-500
ვერტფრენები	წრფივი	10 წელი	120000

3.11 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები ბუღალტრული პროგრამა ორისი, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, შეფასებულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ზრდის კონკრეტულ აქტივში განივთვებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი, საწარმოს შიგნით შექმნილ გუდვილსა და ბრენდებზე აისახება მოგება ან ზარალში გაწევისთანავე.

ამორტიზაცია დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე მისი შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაციის აღიარება ჩვეულებრივ ხდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე იმ თარიღიდან, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის, ვინაიდან ეს უფრო ზუსტად ასახავს აქტივში განივთვებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელ სტრუქტურას. მიმდინარე და შესადარი პერიოდებისთვის პროგრამული

3.12 მარაგები

მარაგები გამოიყენება მომსახურების პროცესში და არ წარმოადგენს გასაყიდად განკუთვნილ აქტივებს. ძირითადი დანიშნულებაა ტექნიკური მომსახურებისა და ჩარტერული ფრენების მომზადების ოპერაციული უზრუნველყოფა.

მარაგების შემადგენლობაში შედის: ტექნიკური სითხეები (მაგალითად, ზეთი, ანტიფრიზი, ჰიდრავლიკური სითხე), ჩასანაცვლებელი ნაწილები (მაგ. ფილტრები, სახარჯი მასალები), სხვა ტექნიკური დანიშნულების მასალები, რომლებიც აუცილებელია საჰაერო ხომალდის გამართული მუშაობისთვის. აღნიშნული მარაგები არ განკუთვნილია გასაყიდად განკუთვნილ პროდუქტებს და არ გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის.

მარაგების აღიარება და შეფასება ხდება IFRS for SMEs-ის მიხედვით, კერძოდ: მარაგები უნდა აღირიცხოს როგორც აქტივი მაშინ, როდესაც ისინი განკუთვნილია:

- გასაყიდად,
- წარმოების პროცესში მოხმარებისთვის,
- ან მომსახურების მიწოდების პროცესში გამოყენებისთვის.

მარაგების ხარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი მოიხმარება კონკრეტული ოპერაციული დანიშნულებით (მაგალითად, ტექნიკური მომსახურების ან ფრენის მომზადების პროცესში). თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია არ იყენებს სტანდარტულ საკრედიტო პირობებს და არ აღიარებს დებიტორულ დავალიანებას, ვინაიდან თანხის აღება ხდება წინასწარ ან მომსახურების დასრულებისთანავე. მიუხედავად ამისა, ფინანსური აქტივების შეფასება ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. საჭიროების შემთხვევაში, გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე, გაუფასურების დადგენის მიზნით.

IFRS for SMEs §11.21: თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის სრული ან ნაწილობრივი აღდგენა არ არის მოსალოდნელი, აღიარებული უნდა იქნეს გაუფასურების ზარალი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმავე პერიოდში მოგება-ზარალში. შეფასება ეფუძნება ინდივიდუალური მოთხოვნების ანალიზს, დამკვეთის გადახდის უნარიანობის შეფასებას და არსებულ ფინანსურ პრაქტიკას.

3.14. ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა ან ნაკლებია.

3.15. წინასწარ გადახდილი თანხები

წინასწარ გადახდილი თანხები არის გადახდილი თანხები, რომელიც განხორციელებულია იმ პერიოდში, როცა იმ მომსახურების ან პროდუქტის მიღება, რომლისთვისაც თანხა

გადახდილია, მომავალ პერიოდში მოხდება. ამგვარი გადასახადები აღიარება ხდება როგორც აქტივი იმ პერიოდისთვის, როდესაც გადახდა განხორციელდა.

3.16 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი ასახავს საწარმოში დამფუძნებლების მიერ შეტანილ ფულად და არაფულად რესურსებს, რომლებიც რეგისტრირებულია როგორც საკუთრების წილი. საწესდებო კაპიტალის გაზრდა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დამფუძნებელი (ან პარტნიორი) ახორციელებს ფულად შენატანს საწესდებო კაპიტალში კანონით დადგენილი რეგისტრაციის წესით. ფულადი შენატანი, რომელიც განიხილება როგორც კაპიტალში შეტანა, არ წარმოადგენს ვალდებულებას ან სესხს და შესაბამისად, აღირიცხება კაპიტალის ანგარიშზე, როგორც საწესდებო კაპიტალის ზრდა.

3.17 გრძელვადიანი სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯით. სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხები გადაფასდება წლის ბოლოს, სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში სასესხო ნაშთი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაფასდება ეროვნული ვალუტით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით. გადაფასების შედეგად წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში იმავე პერიოდში. ფულადი ვალდებულებების კურსთაშორისი სხვაობა აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში

3.18. მოკლევადიანი სესხი

გრძელვადიანი სესხიდან ხდება მოკლევადიანი სესხის წილის გამოყოფა, რომლის გადახდის ვადა არის საანგარიშგებო წლის მომდევნო 12 თვე

3.19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

1. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი ჩარერტული რეისებიდან	1143804	832511
ჯამი	1143804	832511

2. ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	31.12.2024	31.12.2023
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	325346	310984
ჯამი	325346	310984

3. საწვავი

	31.12.2024	31.12.2023
საწვავი	99848	78609
ჯამი	99848	78609

4. ცვეთის ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
საჰაერო ხომალდების ცვეთა (პირდაპირი ხარჯი)	255523	255522
სხვა ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	26985	16701
ჯამი	282508	272223

5. ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
ვერტფრენის რემონტის და ინსპექტირების ხარჯი	135826	91647
ჯამი	135826	91647

6. საერთო ადმინისტრაციული ხარჯი

საწვავის და სატრასპორტო საშუალების ხარჯი	10,655
შრომის ანაზღაურება	192,261
საპენსიო შენატანი	5,658
საიჯარო ქირა	12,232
დაზღვევა	82,068
რეკლამა	2,065
აუდიტორული მომსახურება	5,085
მივლინების ხარჯი	18,530
ბანკის საკომისიო ხარჯი	2,813
კომუნალურის ხარჯი	1,828
ქონების გადასახადი	19,006
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,275
სხვა საერთო ხარჯები	22,683
სულ ხარჯი	378159

7. წმინდა მოგება/(ზარალი)უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან

	31.12.2024	31.12.2023
წმინდა მოგება/(ზარალი)უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	9679	5777
სულ	9679	5777

8. საპროცენტო ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო ხარჯი	71105	93889
სულ	71105	93889

9. მოგების გადასახადი

2023 და 2024 წლებში მოგების გადასახადი შეადგენდა 0-ს

10. ძირითადი საშუალებები

	ვერტფრენები	ვერტფრენის სათადარიგო დანადგარი	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2023	2,752,368	90,791	51,151	13,910	2,908,220
შემოსვლა	-	-	13,321	26,723	40,043
გასვლა	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023	2,752,368	90,791	64,472	40,633	2,948,263
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	(841,863)	(25,737)	(15,863)	(4,303)	(887,766)
ცვეთა წლის განმავლობაში გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	(255,523)	-	-	-	(255,523)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	(1,097,386)	(34,316)	(27,682)	(10,575)	(1,169,960)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2023	1,910,505	65,054	35,288	9,607	2,020,454
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2024	1,654,982	56,475	36,789	30,058	1,778,303

12. არამატერიალური აქტივი

	31.12.2024	31.12.2023
არამატერიალური აქტივი-ორისი	385	700
სულ	385	700

13. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
მარაგები	207655	179983
სულ	207655	179983

14. ფული და ფულის ექვივალენტი

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	0	0
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	600	8815
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	611	18245.4
სულ	1211	27060

15. წინასწარ გადახდილი თანხები

	31.12.2024	31.12.2023
წინასწარ გადახდილი თანხა	171155	145202
სულ	171155	145202

16. საწესდებო კაპიტალი

	31.12.2024	31.12.2023
საწესდებო კაპიტალი	2184741	2184741
სულ	2184741	2184741

17. გრძელვადიანი სესხი

გადაანგარიშებული ლარში	31.12.2024	31.12.2023	საპროცენტო კანაკვეთი	დაფარვის ვადა	უზრუნველყოფა
სესხი თიბისი ბანკიდან	734492.73	1051391	5.80%	05.12.2029	ნინო კაპანაძის 60%-იანი მეწილის პირადი ქონება
სამანდ დავოიან	582102	540000	0%	ექვემდებარება პროლონგაციას	არა
ვლადიმერ ხოსიაშვილი	44830	32000	0%	ექვემდებარება პროლონგაციას	არა
ნინო კაპანაძე	97000	97000	0%	ექვემდებარება პროლონგაციას	არა
სულ	1458425	1720391	0%		

შენიშვნა: • თიბისი ბანკის მიერ გაცემული სესხი, რომელიც აღირიცხება ევროში. 2023 წლის ბოლოს სესხის ნაშთი იყო 353,373 ევრო, ხოლო 2024 წლის ბოლოს შემცირდა და შეადგინა 304,780 ევრო. სესხის გადახდის ვადები და საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

- სესხები დამფუძნებლებისგან, კერძოდ:
- ვლადიმერ ხოსიაშვილი (40% წილის მფლობელი),
- ნინო კაპანაძე (60% წილის მფლობელი),
- ნინო კაპანაძის მეუღლე, დავოიანი სამანდისი.

ამ სესხების პირობები განსაზღვრულია ხელშეკრულებებით, სადაც განსაზღვრულია გადახდის ვადები და საპროცენტო განაკვეთები. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული პირები არიან დაკავშირებული მხარეები, პერიოდულად ხდება სესხის ვადის გადავადებისა და უპროცენტო სესხის გამოყენების შეთანხმება, რაც ითვალისწინებს ვადის პროლონგაციას და საპროცენტო ხარჯების შემცირებას შესაბამისი პერიოდისთვის.

18. გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	174805	
სულ	174805	0

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულება საწარმოს პერსონაწილი წინაშე (ვლადიმერ ხოსიაშვილისთვის და ნინო კაპანაძისთვის დასაბრუნებელი თანხა)	140249	139996
სხვა სავაჭრო ვალდებულება	33225	28707
საგადასახადო ვალდებულება	1976	469
სულ	175450	169172

20. დაზღვევის ხარჯთან დაკავშირებული მუხლის ხელხალი გადაანგარიშება

ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა დაზღვევის ხარჯის ხელშეკრულებები და გაასწორა შეცდომები რეტროსპექტულად. 2022 წელს ავანსად გადარიცხული სადაზღვევო თანხა ასახული იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რამაც გავლენა იქონია 2023 წელზე, შესაბამისად მოხდა თანხების ხელახალი გადაანგარიშება ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფინანსური ანგარიშგების დაკავშირებულ მუხლებზე კორექტირების ოდენობას.

	2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
წინასწარ გადახდილი ავანსები	135686	20327	156013
დაგროვილი ზარალი	1372877	-20327	1352550
	2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირება	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
წინასწარ გადახდილი ავანსები	125004	20198	145202
დაგროვილი ზარალი	1761712	-20198	1741514

მოგება ზარალის ანგარიშგება

	2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით (როგორც ადრე იყო წარდგენილი)	კორექტირება	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)
დაზღვევი ხარჯი	108324	-20198	88126

3. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

სამანდ დავოიანი არის საწარმოსთან დაკავშირებული მხარე, ის გახლავთ ნინო კაპანაძის დამფუძნებლის მეუღლე

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში კომპანიასა და მის დამფუძნებლებს – სამანდ დავოიანს, ნინო კაპანაძესა და ვლადიმერ ხოსიაშვილს – შორის ფიქსირდება შემდეგი ურთიერთობები, რომლებიც მიიჩნევა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებად IAS 24-ის მოთხოვნათა შესაბამისად:

1.სასესხო

ხელშეკრულება

სამივე პირი – სამანდ დავოიანი, ნინო კაპანაძე და ვლადიმერ ხოსიაშვილი – კომპანიის გამსესხებლები არიან. მათ მიერ გაცემული უმეტესი სესხები უპროცენტოა.

2.საიჯარო

ქირა

ოფისი ნაქირავებია კომპანიის დამფუძნებლის მეუღლეს – სამანდ დავოიანისგან, ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 1,000 ლარს. აღნიშნული თანხა შედარებით დაბალი საბაზრო ფასისგან

3.ვლადიმერ

ხოსიაშვილი-დამკვეთი

ვლადიმერ ხოსიაშვილმა ისარგებლა კომპანიის ვერტფრენის მომსახურებით სპეციალური ფასდაკლებით – 1,650 აშშ დოლარი საათში, მაშინ როდესაც სტანდარტული საბაზრო ტარიფი შეადგენს 1,850 აშშ დოლარს საათში. კომპანიის ხელმძღვანელობა მიუთითებს, რომ მსგავსი ფასდაკლება ზოგჯერ ვრცელდება სხვა მომხმარებლებზეც, რაც ამცირებს მიკერძოების რისკს, თუმცა მიუხედავად ამისა, აღნიშნული ოპერაცია კლასიფიცირდება დაკავშირებულ მხარეთა ფარგლებში და ექვემდებარება გამოვლენას. აღნიშნული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 86,997 ლარი

4.ხელმძღვანელის ანაზღაურება ჯამში შედგინა 44388 ლარს გადასახადების ჩათვლით

სახელი/გვარი	სესხი	საიჯარო თანხა	გადასახდელი პროცენტი	სხვა ვალდებულება
დავოიანი სამანდ	582102	33,000	36,903	
ვლადიმერ ხოსიაშვილი	60940			127,401
ნინო კაპანაძე	97000		3,705	12,848
სულ ვალდებულება	740042	33000	40608	140249

4. სხვა მოვლენები

2025 წლის 7 მარტს საწარმომ შეიძინა ვერტფრენი BO105AMD, რომლის ღირებულებამ შეადგინა 425 000 აშშ დოლარი, 2024 წლის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე საწარმომ კვლავ ისესხა თანხა დაკავშირებული მხარისგან დავოიანი სამანდისგან 940 000 ლარი, ვლადიმერ ხოსიაშვილისგან 80350 ლარი და ნინო კაპანაძისგან 278 130 ლარი

მენეჯმენტის განმარტებით სხვა მოვლენა არ ყოფილა

5. საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციაში მომხდარი ცვლილებები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

6. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომი თარიღისთვის მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს გავლენას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა 2025 წლის 26 ივნისს


